ჩემპიონატი

მეორე გამარჯვება იმავე ანგარიშით

მოსკოვი, 8 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ გათამაშების მეორე წრეში ერთმანეთს შეხვდნენ **თბილისის "დინამოსა" და მოსკოვის "კრილია სოვეტოვის'** გუნდები. როგორც ცნობილია, პირველ წრეში თბილისში ჩატარებულ მატჩში გაიმარჯვეს დინამოელებმა, ანგარიშით – 1:0.

ნელი ტემპით დაიწყო თმაში. მოწინააღმდეგენი უმთავრესად ერთმანეთის სუსტ ადგილებს ეძებენ. იერიშზე გადადიან თბილისელები. "კრილია სოვეტოვის" დაცვა ახერხებს მრავალი სახიფათო მომენტიდან მოხერხებულად გამოსვლას, შემოტევას კარგად იგერიებს. თამაში უკვე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე გადმოვიდა. მეკარე ტყებუჩავას უხდება მოწინააღმდეგის მთელი შეტევის სიმძიმის გადატანა. მატჩის პირველ ნახევარს შედეგი არ მოუცია.

მეორე ნახევრის დასაწყისში ორივე გუნდი ავითარებს სწრაფ ტემპს. პაიჭაძე და ჯეჯელავა საუცხოო კომბინაციებით ხშირად ქმნიან კრიტიკულ მომენტებს მოსკოველთა კართან. გარღვევაზეა პაიჭაძე. იგი მოხდენილად აწვდის ბურთს ცენტრში მყოფ ბერეჟნოის და ამ უკანასკნელსაც თავით გააქვს პირველი გადამწყვეტი ბურთი.

თბილისელები კვლავ უტევენ, მაგრამ უშედეგოდ. თამაში დამთავრდა ანგარიშით – 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

12 აგვისტოს თბილისის "დინამო" მოსკოვში ჩაატარებს მორიგ კალენდარულ მატჩს სსრკ პირველობაზე. მის წინააღმდეგ გამოვა ადგილობრივი "ტორპედო".

გოლდშტეინი, თბილისის "დინამოს" გუნდის უფროსი.
„ახალგაზრდა კომუნისტი", 9 აგვისტო, 1940 წ.